

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №29

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

21 ნოემბერი 2018 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე.

სხდომა 13³⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2018 წლის 21 ნოემბრის საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ“

მომხს./გიორგი ივანიაძე/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხეილ დვალის სახელის მინიჭების შესახებ

მომხს./გიორგი ივანიაძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი

ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის), დანართი N 1 შესაბამისად, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სასყიდლით, პირობით გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხს./ზვიად კაპანაძე/

4. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2018 წლის 21 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ“ (დანართი N2)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესით“ და ყველა დოკუმენტაციის წარმოდგენით გვამლევინ თანხმობას ქვედა მუქედის N4-ე ქუჩას და ამავე ქუჩის პირველ ჩიხს მიენიჭოს ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 21 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „...ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხეილ დვალის სახელის მინიჭების შესახებ“ (დანართი N3)

მომხსენებელმა ამ საკითხთანაც დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტაციის, წესის და კანონის დაცვით გვეძლევა უფლება ზედა მუქედის N10-ე ქუჩას და ამ ქუჩის პირველ ჩიხს მიენიჭოს 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელი

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 21 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (მომხსენებლის ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონსტრუქციის), დანართი N 1 შესაბამისად, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სასყიდლით, პირობით გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ შესაბამისი მუხლების თანახმად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა, შ.პ.ს „მაგთიკომს“ იჯარით, პირობითი გადაცემისა და ქირის წლიური ფასის გადახდით გადასცეს 619 ერთეული გარე განათების ბოძები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 21 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე